სახალხო გაზეთი

№ 231 კვირა, 13 თებერვალი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 231

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან საშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящ. N 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

(კვირეულ სურათებიანი დამატებით).

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

წლ.	11 თვ.	10 თვ.	9 თვ.	8 თვ.	7 თვ.	6 თვ.	5 თვ.	4 თვ.	3 თვ.	2 თვ.	1 თვ.
8. 50.	8. —	7. 50.	6. 90.	6. 20.	5. 50.	4. 80.	4. —	3. 20.	2. 40.	1. 60.	— 80.
12. 8.	11. —	10. —	9. —	8. —	7. —	6. —	5. —	4. 50.	3. 50.	2. 50.	1. 25.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.
ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან, 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

8 თებერვლიდგან გამოდის ახალი
ორ კაპიკიანი
გაზეთი
„ხალხი"
ადრესი: დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

№ 1. **ქართული თეატრი** № 1.
სამშაბათს, 15 თებერვალს, 1911 წ.
ახლად დაარსებული
◆ **ტფილისის ქართული საამხანაგო ხორო** ◆
მიხეილ კავსაძის ლოტბარობით და ძმ. **ანდრია და ნიკოლოზ კავსაძეების, ის. ხოლიაშვილის** მონაწილეობით გამართავს

ქართულ-ორიგინალურ კონცერტ-საღამოს
სამის განყოფილებით.

1. ივანე ნასიძე (პეტერბურგის იურიდიულ ფაკულტეტის სტუდენტი). წაიკითხავს ლექციას—„ქართული მუსიკა". 2. **ხორო** ქულიჯებში და გლეხ-კაცურ ტანისამოსში შეასრულებს განსაკუთრებით **ხალხურ სიმღერებს**, სურათებით სოფლის ცხოვრებიდან. 3. მიხეილ კავსაძე შეასრულებს ალ. კავსაძის **„ურმულს"**. 4. იოსებ სალირაშვილი შეასრულებს **თარზე ქართულ და სპარსულ ჰანგებს**. 5. ძმ. მიხეილ, ანდრო და ნიკოლოზ კავსაძენი შეასრულებენ **„ტრიოს"** და სხვ.

ბილეთები იყიდება ქართულ თეატრის კასაში. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე. გამგე **ნიკოლოზ კავსაძე**. (3—1048—2)

სახალხო სახლი
კვირას, 13 თებერ., დილის 11 ს.-ზე დანიშნულია სახალხო უნივერსიტეტის

წევრთა საზოგადო კრება.

განსახილველი საგნებია: ა) 1909—1910 წლ. ანგარიშის დამტკიცება. ბ) გამგეობის მოხსენება §§ შეცვლის თაობაზე. გ) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა.

ვისაც სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოებაში წევრად ჩაწერა ჰსურს, საწევრო ბილეთების მისაღებად სახალხო სახლის კასაში უნდა მიჰმართონ, საზოგადო კრების დღეს, თეატრის შესავალთან. საწევრო ფული წელიწადში 1 მანეთია. **გამგეობა.** (1—450—)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი
ორშაბათს, 14 თებერვალს
ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტების მიერ
გაბო აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება

ციმბირელი
პიესა 4 მოქ. ავ. ცაგარლისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი: ლეჟავა, ჩერქეზიშვილი, შოთაძე, ნებიერიძე; ბ-ნნი: აბაშიძე, ბერიშვილი, ყიფიძე, მატარაძე, საგალობლიშვილი, მამულოვი, საფაროვი, გრიშაშვილი.

II **საკონცერტო განყოფილება.**
მონაწილეობენ: ქ-ნნი: ჯაფაროვისა, ხერტოკოვსკისა; ბ-ნნი კანდელაკი, მელიქსეტ-ბეგოვი, ქავლაძე, ნარკევი, ასოსპირევი, მანშიაშვილი, ბებიაშვილი, მატარაძე, გრიშაშვილი, ადგილების ფასი 1 მ. 50 კ. 25 კაპეიკამდე.
დასაწყ. საღამ. 8 ს. რეჟისორი გ. აბაშიძე. ადმინისტ. ი. გრიშაშვილი.

ტფილისის კერძო სამკურნალო
გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება
მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.
ტელეფონი № 500.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც.
საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.
ბედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.
ბურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.
კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.
მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.
მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.
მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.
ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.
პაპავა ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—2½ ს.
ხოლოდოვსკი ზ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.
სულაკოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606"-ით** (Erlich-chata) საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაცი., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შემოვათ. **საფასურით.** (200—5.—324)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი
კვირას, 13 თებერვალს,
სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე გამართავს

საღამოს
მარ. იგ. დემურიას ხსოვნის პატივსაცემლად.
I. **ცხოვრება და მოღვაწეობა მ. ი. დემურიასი,**
წაიკითხავს შ. შარაშიძე.
II
ხუმის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება
1) **„დედა დაშვილი"**, თავ. ილ. ჭავჭავაძისა.
2) **„მალაროს მუშა"**, პიესა 1 მოქმ. გერბიდონისა.
III. **დივერტისმენტი.**
მონაწილეობენ: ქ-ნნი დ. განდეგილი, თ. გოგოლაშვილი, ა. ჩირგაძე. ბ-ნნი: იოს. ალ. ბარათაშვილი, კ. ს. ცხომელიძე, პ. პ. ფალიაშვილი, კონ. იოს. ჯაფარიძე, გ. ქუჩიშვილი, ძმ. პალეგაძები და სხვა. ადგილების ფასი 5—50 კ.-დე.
დასაწყ. სად. 8 ს. ადმინისტ. **ა. ქიაბრიშვილი.** (1—უ—1)

მოსკოველი **ცირკი შ. ა. ტრუცცისა**
დღეს, კვირას, 13 თებერვალს,
გაიმართება დიდი
კავკასიური ჭიდაობა
იჭიდავებენ საუკეთესო კავკასიელი ფალავნები.
წარმოდგენის დასაწყისი საღამ. 8½ ს.
ჭიდაობა სად. 10½ საათზე დაიწყება.
დაწვრილებით აფიშებში. (1—453—1)

ყავა იაპონურ სოიის „არგოს" მხანაგობისა.
ნოყიერი, გემრიელი, იაფი! საექიმო საბჭოს მიერ ნება-დართული მ. ს. ს. № 2175. 40% ცილას შეიცავს, 25%—სიმსუქნეს, 16% ფოსფორის სიმჟავეს.

გულზე და ნერვებზე არა მოქმედობს.

1910 წ. გამოფენაზე 4 უმაღლესი ჯილდო მიიღო.
ნიმუში, ანალიზი და ბროშურა, სადაც ექიმთა აზრია გამოთქმული, უფასოდ მოითხოვეთ,
ყველგან ისყიდება.
ვინც პირდაპირ ქარხნიდან (დაბა ყვირილა, ქუთაისის გუბერნია), 5 გირვანქას მაინც დაიბარებს, გასაგზავნისა და ყუთში შესახვევ ხარჯს არ იხდის.
100—1041—1

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის
საზოგადოების საბჭო
აცხადებს, რომ 1911 წლის განმავლობაში გამოსცემს იგი რამდენსამე **კრებულს მხატვრულ, ფილოსოფიურ და მეცნიერულ შინაარსისას.** პირველ კრებულისთვის მასალა 15 თებერვლამდე მიიღება. კრებული სივრცით 300—500 გვერდამდე იქნება. საზოგადოების წევრთათვის და „სახალხო გაზეთის" გამომცემლებთან შეთანხმებით, ამ გაზეთის ხელის-მომწერთათვის ეღირება 50 კაპ.; სხვებისათვის კრებული ეღირება არა ნაკლებ 1 მანეთისა. კრებულის გამოცემისთაობაზე მსურველთ შეუძლიან მიჰმართონ მოსალაპარაკებლად სიტყვა-კაზმულ მწერლობის საბჭოს თავმჯდომარეს **გ. ს. რცხილაძეს** (იზმაილ. ქ. № 2. (0—12)

ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოება
საზოგადოების დამფუძნებელნი იუწყებიან, რომ საზოგადოების წესდება დამტკიცდა 1910 წლის 22 დეკემბერს.
წევრად ჩაწერა შეიძლება:
1. სახალხო გაზეთის რედაქციაში,
2. ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზ. მაღაზიაში,
3. ტფილისის სასოფლო სამეურნეო ბანკში,
4. დეპუტატთა საკრებულოსთან არსებულ საადგილ-მამულო კომისიაში,
5. სათავად-აზნაურო ბანკის დამფასებელ კომისიაში,
6. კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში,
7. „კახეთის" საზოგადოებაში (ერევნის მოედანზე),
8. „საეროს" ამხანაგობაში.

წევრად ჩაწერისათანავე საჭიროა თითო მანეთი საწევრო ფულის წარმოდგენა. სასურველია მასთან ერთად შემოტანილ იქმნას აგრეთვე 1911 წლის საწევრო გადასახადი—3 მანეთი. მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ საზოგადოების წესდება უფასოდ. (6—1046—5)

ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. გაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
ზ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.
ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
ა. პაპავა—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.
ტერ-ნიკოღოსოვა დ. ზ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½—12½ საათ.
ე. გ. ფედოროვა—ყოველ დღე, ოთხშ და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წო.—5.—557)

ექიმი ქ. ქუთაისში **თ. ტყეშელაშვილი**
იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, საშარდე და სასქესო აგებულობათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. კირილოვის სახლი, (50—15—25

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (9)

ექიმი ჯაფარიძე
ქ. ქუთაისში
უვლის ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—84

ექიმი ი. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეის ქუჩების კუთხე N 24. 0—315

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო
მიხეილ ბედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—5.—46)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი რ. დ. მაჩაბარიანი
იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაკინოვის ქუჩა N 7. თ.—180—86

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვისა ქ. N2.

ექიმი ზ. ა. მიქელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

ქ. ქუთაისში
ქირურგიული და დედათა სნეულების
საავადმყოფო
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
ივ. ბოკერიასი
გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.
იქვე წამლობენ სიფილისს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606". (30—405—39)

ტფილისი, 13 თებერვალი

იქნება არასოდეს არა ყოფილიყოს ქართულ ცხოვრების მემატიანე ისეთს უნუგეშო მდგომარეობაში, როგორც ეხლა. რუსეთის ცხოვრების საერთო უფერულება ათკეც და ასკეც უფრო ძლიერ ჩვენში იჩენს თავს. ურიცხვ მიზეზებისა გამო, რომელთა ჩამოთვლა არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს, თითქოს სულ-ერთიან გაიყინა ჩვენში საზოგადოებრივი ინტერესი და ქვეყნის გულისყური ისეთ წვრილმან, გარდამავალ საქმეთა გარშემო-და ტრიალებს, რომელთაც არც სულის აღფრთოვანება ძალუძთ გამოიწვიონ და არც ენერგია მოქმედებისა.

ერთხანად საზოგადო აზრის მესვეურნი შეეცადნენ, როგორც რუსეთში, აგრეთვე ჩვენში; ეს საზოგადოებრივი დაცემულება ჩამოეყალიბებინათ იმ პრინციპში, რომ პოლიტიკის ხანამ გაიარა და ეხლა წმინდა კულტურულ საქმიანობის დრო დადგა. საზოგადო აზრის ჰორიზონტის შევიწროვება და საერთო მაჯის-ცემის შესუსტება ვითომ იმით ჰსურდათ აეხსნათ, რომ განვლილ ქარტეხილით დაქანცული ადამიანი ეხლა წყნარსა და მყუდრო მოქმედებას ჰკიდებს ხელს კულტურის ნიადაგზეო, მაგრამ კულტურა და პოლიტიკა მხოლოდ ხელოვნურად შეიძლება განაცალკევოს ადამიანის ანალიტიკურმა გონებამ. ნამდვილად მათ შორის კედლის ამოშენება შეუძლებელია. რასაც კულტურის და პოლიტიკის დაპირდაპირებას ეძახდნენ, ის ნამდვილად ერთის საზოგადოებრივის მიმართულების დამარცხება და მეორის გამარჯვება იყო. დამარცხებული მიმართულება კულტურისა და პოლიტიკის განცალკევების თეორიით თავის დამარცხებას აღიარებდა, გამარჯვებული კი თავის გამარჯვებას ადლესასწაულობდა.

ადამიანის ბუნება არსებითად ოპტიმისტურია. იგი საბოლოოდ და მთლად არასოდეს იმედს არა ჰკარგავს. დამარცხებულ მიმართულებას მაინც კიდევ სწამს, რომ საბოლოოდ მაინც ისევ გაიმარჯვებს და რომ მხოლოდ ძალღონის მოკრეფა სჭირია მომავლისათვის. მაგრამ ოპტიმიზმი მაცდურია და გამაბრუებელი. განსაკუთრებით სახიფათოა ის საზოგადოებრივი ოპტიმიზმი, რომელიც ისადგურებს დამარცხებულ ადამიანის გულში. აქ ჯერ სუსტად და მკრთალად, ხოლო შემდეგ კი ძლიერად და მაგრად გაითიშება ერთმანეთისაგან შორეული იდეალი და არსებული სინამდვილე. იდეალი იძინებს და მძიმე მძიმედ ეძლევა დავიწყებას, ხოლო სინამდვილე კი თანდათან იმონავებს ადამიანს, თანდათან გასთქვეფს მას უიდეალო ცხოვრებაში. დამარცხებას ზნეობრივი დაცემა მოსდევს, ხოლო როცა ეს დამარცხება საზოგადოებრივია, ზედ საზოგადო გარყვნილება და უპრინციპობა მოსდევს.

ჩვენი დროც უძირო საზოგადოებრივ გარყვნილობის და უმაგალითო უპრინციპობის ხანაა. რუსეთის მწერლობაში ამ ზნედაცემულებას თავისი თეორეტიკოსები ჰყავს, რუსეთის სამხატვრო ლიტერატურა ამ ზნედაცემულების გარშემო ტრიალებს და იქ ეძებს ჩვენს დროში თავისთვის მასალას. იდეალებით გატაცების უარყოფა, წუთიერ სიტკბოებათა ძებნა და ავხორცობის მიმდევრობა—აი, ჩვენი დროის დამახასიათებელი ნიშნები. ადამიანის გონება იმ ბასრ ხანჯალს ჰგავს, რომლის ორივე პირიც ერთნაირად სჭრის. გონებას ურიცხვი არგუმენტი შეუძლიან მოიყვანოს როგორც ამ ზნედაცემულობის გასამართლებლად, ისე იმის გასამტყუნებლად. თეორიული დისპუტი ჩვენის დროის გაბატონებულ სულის-კვეთებასთან მხოლოდ განავითარებს და განაძლიერებს იმ თანამედროვე მიმდინარეობას, რომელიც ცხოვრების საერთო პირობებმა წარმოჰშვეს. წმინდა გონების სამთავროდან არ წარმომდგარა ჩვენი დროის გახრწნილება და არც ამ გონების არგუმენტებით შეიძლება იმის დაძლევა. „არც ერთი ეპოქა არა ფიქრობს თავის თავზე იმას, რაც ის ნამდვილად არის". არც ჩვენს დროს მიაჩნია თავისი თავი იმ მიზეზების ნაყოფად, რომელთაც იგი წარმოშობს.

რუსეთში ჩვენის დროის უზომო ზნედაცემულობისთვის თეორიულ გამართლებას ეძებენ. ჩვენ უფრო მარტივი, უფრო უბრალო ხალხი ვართ. ჩვენში ამ ზნედაცემულებას არც პრინციპიალური დამცველები ჰყავს, მაგრამ არც პრინციპიალური მოწინააღმდეგენი. ჩვენში არც მხატვრული ლიტერატურა იძლევა ისეთ ტიპებს, როგორიც ვთქვათ არციბაშევის სანინია, და არც თეორიულად სცდილობენ ინდივიდუალიზმის ფილოსოფიით იმის გამართლებას. ჩვენში უპამისოდაც იოლას მიდიან. მაგრამ დიდი შეცდომაა, თუ ჰგონია ვინმე, რომ ჩვენ ამ მხრივ შიდა რუსეთს უკან ჩამოვრჩით. საკმარისია, მოვიგონოთ ამ უკანასკნელ ორი კვირის წინად აღმოჩენილი გარყვნილების წითელი ბუდე, რომ გულუბრყვილო ადამიანთა ოპტიმიზმი დაიმსხვრეს.

მაგრამ გერმანელ პოეტის და ფილოსოფოსისა არ იყოს, ყველაფერი, რაც კი იბადება, ერთხელაც იქნება, მოკვდება. ეხლანდელ ზნედაცემულებასაც მოეღება ოდესმე ბოლო—ეს ეჭვს გარეშეა. დიახ, მოეღება ბოლო მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა შეიცვლება ის ნიადაგი, რომელზედაც იგი განვითარდა და გაიშალა. თანამედროვე ზნედაცემულებასთან ვერც არაოფიციალურ მორალისტების ქადაგება გააწყობს, ვერც პოლიტიკურ ზომების მიღება. ამ ზნედაცემულებასთან საბრძოლველად მხოლოდ ერთი იარაღი გაიკრის: საქვეყნო და საზოგადოებრივ იდეალებისა და ამ იდეალებისაკენ მიმავალ გზების გაშლა და გახსნა. ცხოვრება ზღვას ჰგავს, ტალღა ხან ნაპირისკენ იწევს, ხან ნაპირიდან გულისკენ. დღეს შეკრულია გზები, ხვალ შეიძლება გაიხსნას. მაშინ ეხლანდელ ზნედაცემულობასთან ბრძოლაც ნაყოფიერად იწარმოებს.

სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან).

თ-დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობს.

სასამართლო რეფორმათა კომისიის მომხსენებელი ცოლ-ქმართა ცალკ-ცალკე ცხოვრების პროექტს თანაგრძნობით ეკიდება.

დირექტორი იუსტიციის სამინისტროს დეპარტამენტისა მთავრობის სახელით აცხადებს, რომ სამინისტრო უკვე შეუდგა ამ საკითხის შემუშავებას და თავის აზრს სათათბიროს ჩქარა წარმოუდგენს.

გერასიმოვი. სათათბირომ უნდა გაანთავისუფლოს რუსის ქალი, როგორც ადამიანი და მოქალაქე, ყველა სოციალურ უსამართლობისაგან.

ბერეზოვსკი მეორე. მემარჯვენეთა ფრაქცია თავის მოსაზრებას მაშინ გამოსთქვამს, როდესაც მთავრობის კანონ-პროექტს გაეცნობა.

მარკოვი მეორე. კანონ-პროექტის წინააღმდეგია, რადგანაც იგი რუსის გლეხს კანონიერ მუშა ხელს ჩამოაცლისო.

კენჭის ყრით ეს საკანონმდებლო წინადადება სასურველად მიიჩნიეს.

მორიგ საკითხად პოლონეთის გუბერნიებში თვითმმართველობის შემომღები პროექტია.

მომხსენებელი დეონოვი. პოლონეთის ხალხი დიდი ხანია მომწიფებულია ერობისთვის და მოუთმენლად ელის მის შემოღებას. მათი მოტყუება არამც თუ პოლიტიკური შეცდომა იქნება, არამედ უსამართლობაც.

ადგილობრივ სამეურნეო საქმეთა გამგეობის უფროსი. სანამ ერობას შემოვიღებდეთ, საჭიროა ქალაქთა თვითმმართველობა შემოვიღოთ, თორემ ლოძსა და ვარშავას დამოუკიდებელ ერობის ერთეულად ვერ გამოვაცალკევებთ. ამის გარდა მთავრობას ეძნელება ერობის ხმოსნები, რეფორმის მოხდენამდე, გმინთა კრებას ანდოს.

გლებოვი მეორე. ოქტომბრისტები მომხრენი არიან რომ პოლონელთ პოლონეთში ყველა ის უფლებანი მიენიჭოთ, რაც რუსეთში—რუსებს.

ბერეზოვსკი მეორე. ვისლის მხარე ეკონომიურადაც და კულტურულადაც რუსეთის შიდა გუბერნიებზე მაღლა სდგას, და გმინის სახით უკვე არსებობს ერობის მაგვარი მიმართულება, რაზედაც მკვიდრი რუსეთი დიდი ხანია ოცნებობს. მაშ ერობის შემოღება საშური არ არის. აქ რომ ერობა შემოვიღოთ, ადგილობრივ საქმეებს რუსის ხალხს ჩამოართმევენ, პოლონელნი დაეპატრონებიან და პოლიტიკან ინტელიგენტთა სარევოლუციო ბუდე დაარსდება.. ეს კი 31 წლის განიმეორებს (ტაშის ცემა მარჯვნივ) პოლონელთ ფინლანდიის მაგვარი სეიმი ჰნებავთ, მაგრამ მემარჯვენენი მათ კვალს არ გაჰყვებიან. (მარჯვნივ ტაშის ცემა).

ბუდატს შრომის ჯგუფის სახელით სასურველად მიაჩნია პროექტის მიღება.

მილიუკოვი. კადეტები პროექტს მხარს დაუჭერენ, თუმცა იგი პოლონელთა პოლიტიკურ მოთხოვნილებებს სავსებით ვერ აკმაყოფილებს. კადეტები ისევ პოლონეთის ავტონომიას თხოულობენ.

სათათბირომ თითქმის ერთხმად სასურველად მიიჩნია ამ კანონ-პროექტის განხილვა.

მორიგ საკითხად შეთანხმებელ კომისიის დასკვნის განხილვაა ავტორთა უფლებაზე.

შეთანხმებელ კომისიაში ჩილიუკოვს განსაკუთრებული აზრი წარუდგენია, რომ: ავტორის გარდაცვალებიდან 50 წლის შემდეგ მისი კერძო წერილები და დღიურები მემკვიდრეთა დაუკითხავად შეიძლება იბეჭდებოდეს, მოთხრობების დრამად გადაკეთება და დრამისა მოთხრობად ავტორის მემკვიდრეთა ნება-დაურთველად ჰხდებოდეს და ნათარგმნის უფლება მთარგმნელს ეკუთვნოდეს და არა მის მემკვიდრეთ.

ეს შენიშვნები კომისიას არ მიუღია. სათათბირომ ეს კანონ-პროექტი კომისიის რედაქციით მიიღო.

მიიღეს კანონ პროექტი, რომ სოფლისა და ქალაქის სამღვდელოების ჯამაგირთა გასადიდებლად ხაზინამ ყოველ წლივ დამატებით თანხად 600,000 მანეთი გადასდოს ხოლმე.

თავ. ტენიშევი. იმ კანონ-პროექტის მოხსენებას კითხულობს, რომლის ძალითაც უცხო სახელმწიფოთა მოთხოვნას სისხლის სამართალში მიცემული დამნაშავენი უნდა გასცენ. მხოლოდ იმ პირობით გასცემენ, თუ გაცემულს დამნაშავეს სწორედ აღნიშნულ დანაშაულობისათვის მისცემენ პასუხისგებაში და ჩვეულებრივის სამართლით გაასამართლებენ.

ჩერნოსვიტოვი. კადეტები ამ პროექტს მხარს არ მისცემენ.

გეგეჭკორი. საფრანგეთში სოციალისტები საუკეთესო მოქალაქეებად ითვლებიან, რუსეთში კი მათ ციხეში ალპობენ, აციმბირებენ და კატორღაში ჰგზავნიან. სანამ დამნაშავის გაცემაზე ილაპარაკებდეთ, უნდა გესმოდეთ პოლიტიკურ დანაშაულობის არსებითი დედა-აზრი. სოც.-დემოკრატები პროექტს მხარს ვერ დაუჭერენ.

ლიახოვი. შრომის ჯგუფს არა ჰსურს, რომ მთავრობას პოლიტიკურ მოპირდაპირეებთან საბრძოლველად კიდევ ერთი საშუალება მისცენ, ამისათვის პროექტს მხარს არ დაუჭერთო.

პროექტის მუხლობით განხილვას იწყებენ.

ამ კანონპროექტის ყველა მუხლები კომისიის რედაქციით მიიღეს.

შემდეგი სხდომა ხვალ მოჰხდება.

რუსეთ-ჩინეთის უთანხმოება

დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან).

„რუსკ. სლ.“ ხარბინიდან ატყობინებენ, პეკინში გაიმართა გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა და უმაღლეს საბჭოს კრება, რომელზედაც რუსეთის ულტიმატუმი განიხილეს. კრებაზე თითქმის ერთხმად განაცხადეს, ეს პირველი ნაბიჯია, რომელსაც აუცილებლად მეორეც მოჰყვება; რუსეთი უეჭველია მანჯურიის ანექსიას აპირებს. თუ რუსეთს დაუთმეთ, იაპონიაც მოითხოვს რამეს. მაშინ, ცხადია, მანჯურიასა და მონგოლეთს რუსეთი და იაპონია გაიყოფენო.

ხმა დადის, რომ პრინც-რეგენტმა, რომელიც უმაღლეს საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა, შეერთებულ შტატების პრეზიდენტსა სთხოვა შუამდგომლობა.

ხარბინიდანვე დეპეშით ატყობინებენ გაზეთს, ადგილობრივ საელჩოში რუსეთის ულტიმატუმმა ყველა გააკვირვაო. ჩინელებში ხომ ათასი ჭორი გამოიწვია, დაჟინებით იძახიან, რუსეთთან ომი აუცილებელი გახდებაო.

პარიზში მყოფ ჩინეთის ელჩს განუცხადებია, რუსეთ-ჩინეთის უთანხმოებას პოლიტიკური ხასიათი არა აქვსო. მიზეზები მხოლოდ ეკონომიურია.

პეკინში ყველა დამშვიდებულია და დარწმუნებულნიც არიან, რომ ეკონომიურს ნიადაგზე აღმოცენებული უთანხმოება ომს არ გამოიწვევს.

პარიზის გაზეთებს პეკინიდან ატყობინებენ, რუსეთის ულტიმატუმი უსათუოდ რუსეთსა და იაპონიის შორის დადებულ ხელ-შეკრულებამ გამოიწვიაო. რუსეთმა ულტიმატუმი სწორედ მაშინ წარადგინა, როდესაც იაპონიამ შავი პირი დაიხვია ხელზე და თხოულობს, რომ ანტუნგსა და მუკდენში ადმინისტრატიული ხელმძღვანელობა მას გადაეცეს.

პარიზის როიალისტური გაზეთი ურჩევს რუსეთს, სიფრთხილით მოეკიდოს აზიის ავანტიურას, რადგანაც ეს მხოლოდ გერმანიისთვის იქნება სასარგებლოო. საფრანგეთის პრესა საზოგადოთ აღნიშნავს, რომ უთანხმოება გერმანიის პროვოკაციის შედეგიაო. ამის გამო „მატენში“ დაიბეჭდა ოფიციოზური ცნობა, რომ პოტსდამის მოლაპარაკებას უთანხმოებასთან არავითარი კავშირი არა აქვსო.

სტუდენტების მოძრაობა

დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

მოსკოვი. გრადონაჩალნიკმა 103 სტუდენტს აუკრძალა მოსკოვში ცხოვრება არეულობაში მონაწილეობის მიღებისთვის.

პეტერბურგი. უნივერსიტეტში გუშინდელზე მეტი ლექციები შესდგა. პეტრაჟიცკის ლექციის დროს ქიმიური ობსტრუქცია მოახდინეს. ეჭვით დაატუსაღეს ორი სტუდენტი. უნივერსიტეტის აკადემიური კავშირი რეფერენდუმის მოხდენასა თხოულობს. ქალთა უმაღლეს კურსებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

კიევი. უნივერსიტეტსა, კომერციულ ინსტიტუტსა და ქალთა უმაღლეს კურსებზე სწავლა წესიერად მიდის. მსმენელთა რიცხვი თანდათან იზრდება. პოლიტექნიკუმში სწავლა არ არის. წესიერება არ დარღვეულა.

ოდესა. ქალთა უმაღლეს კურსებზე პროფესორს მანდესს ქიმიური ობსტრუქცია მოუხდინეს. ლექცია არ შეწყვეტილა. დაატუსაღეს ოთხი მსმენელი ქალი.

ყაზანი. უნივერსიტეტში მშვიდობიანობაა. ლექციებზე გაცილებით მეტმა სტუდენტმა დაიწყო სიარული. საბეითლო ინსტიტუტში ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობა შესდგა. გამოკრულია განცხადება დირექტორისა, რომელიც აფრთხილებს სტუდენტებს, ვინც ობსტრუქციაში მონაწილეობას მიიღებს, დათხოვნილი იქმნებაო.

რუსეთის სატახტო გაზეთები სავსეა ცნობებით სტუდენტთა და პროფესორთა მოძრაობის შესახებ. დღეისე არ გაივლის, რომ პროფესორთა იმ სიას, რომელნიც სამსახურს თავს ანებებენ, ახალი გვარი არ მიემატოს. „რუსს სლ.“ სტუდენტთა და პროფესორთა მოძრაობის შესახებ შემდეგს ცნობებს გადმოგვცემს: 7 თებერვალს სამსახურს თავი დაანებეს შემდეგმა დამსახურებულმა ორდინარმა პროფესორებმა: ტიმირიაზევმა, შერვინსკიმ, სოკოლოვმა, ფოხტმა, ორდინარმა პროფესორმა: ლებედევმა, ზელინსკიმ და სხვებმა. პრივატ-დოცენტმა ზაგრიაცკიმ საზღვარ-გარეთიდან გამოგზავნა თხოვნა სამსახურის თავის დანებებაზე.

კვირას პრივატ-დოცენტებისა, პრორექტორებისა და ასისტენტების კრება მოხდა. კრებაზე მსჯელობა იქონიეს იმის გამო, რომ პროფესორები სამსახურს თავს ანებებენ. შეიტანეს წინადადება, რომ უნცროსი მასწავლებლებიც შეუერთდნენ პროფესორებს, მაგრამ ამ წინადადებაზე ვერ შესთანხმდნენ. გადასწყვიტეს, თვითოეულ მათგანს მიენიჭოს თავისუფალი მოქმედების უფლება.

მოსკოვის ცნობილ ქველ-მოქმედს ნ. შახოვს შეუტყობინებია მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორისთვის, მე მინდა მოსკოვის უნივერსიტეტში დავაარსო სამი სტიპენდია ა. მანუილოვისა, მ. მენზბირისა და პ. მინაკოვის სახელობაზეო. ამ მიზნის განსახორციელებლად შახოვი სწირავს 18.ათას მანეთს; სტიპენდიები უნდა დანიშნონ ხოლმე ზემოხსენებულმა პირებმა, სიკვდილის შემდეგ-მათმა მემკვიდრეებმა. როგორც ჩვენს მკითხველებს ეცოდინებათ, ეს პროფესორები ამ რამდენისამე ხნის წინად სამსახურიდან დაითხოვეს.

მოსკოვის ნაფიც ვექილთა კორპორაციამ თანაგრძნობა გამოუცხადა მანუილოვს, რომელმაც საპასუხო სიტყვაში აღნიშნა, ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა თანაგრძნობა ვექილებისა, რომელნიც იფარავენ, სწავლობენ და ჰქადაგებენ უფლებასაო.

მოსკოვის სატეხნიკო სასწავლებელს მიუვიდა მინისტრის ცირკულიარი, რომელშიაც ის წინადადებას აძლევდა საბჭოს, შეემუშავებინა სტუდენტების მოძრაობის საწინააღმდეგო ზომები. ამის საპასუხოდ საბჭოს შეუმუშავებია დასაბუთებული მოხსენება. საბჭო აღნიშნავს, სტუდენტების მოძრაობის მოსასპობად არსებობს ერთად-ერთი საშუალება—მინისტრთა საბჭოს დადგენილების გაუქმება და სტუდენტთა ლეგალურ ორგანიზაციების აღდგენაო. დღევანდელს პირობებში კი საბჭოს არავითარი ზომები არ გააჩნია სტუდენტებთან საბრძოლველადო.

გაზეთი „რეჩი“ გვატყობინებს, 5 თებერვალს პ. სტოლიპინმა სტუდენტ-აკადემისტთა კორპორაცია მიიღო და უთხრა, წესიერება აღდგენილ იქმნება, უნივერსიტეტი არას გზით არ დაიკეტება და ყველა სწავლის მსურველს საშუალება მიეცემა სწავლისაო.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

საზღვარ-გარედ.

12 თებერვალი

პარიზი. დეპუტატთა პალატამ დაადგინა ორი ჯავშნოსანი შეუკვეთოს კერძო მექარხნეებს. ამ გემებზე 30,5 კალიბრის ზარბაზნებს დასდგამენ.

ბერლინი. რეიხსტაგმა 247 ხმით 63 წინააღმდეგ განსაზღვრა ჯარის რაოდენობა მშვიდობიანობის დროს.

თეირანი. რუსეთის დესპანმა გარეშე საქმეთა მინისტრს ოფიციალურად აცნობა, რომ ყაზვინიდან რუსეთი ჯარს გაიყვანსო. მინისტრმა დიდი მადლობა გადაუხადა ასეთს ნდობის და მეგობრულ განწყობილებისათვის და დასძინა, სპარსეთის მთავრობა მტკიცეთ დაიცავს ტრადიციულ მეგობრულს განწყობილებასაო.

ურმია. სოფ. ყულუნჯაში, სალმასის გზაზე, ოსმალეთის სამთო არტილერია მოვიდა.

საკრამენტო. კალიფორნიის სენატმა ერთხმად დაადგინა იაპონიასთან ხელ-შეკრულობის დადებაზე წინააღმდეგობა გაუწიოს.

პარიზი. ბრენი ორი კვირის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.

პარიზი. ბრისონმა და ბრიანმა ბრენზე სიტყვა წარმოსთქვეს. პარლამენტმა დაადგინა ბრენი სახელმწიფოს ხარჯით დაასაფლავოს.

პარიზი. ბრიანმა, მინისტრის დანიშვნამდე, სამხედრო მინისტრის პორტფელი მიიღო. ამ თანამდებობაზე გენერალ ლაკურს ასახელებენ. ბრენს ორშაბათს დაასაფლავებენ.

ბერლინი. რეიხსტაგმა დაადგინა მშვიდობიანობის დროს, ჯარის რიცხვი ყოველ წლივ 11,000 მეომრით გაადიდოს, რომ 1915 წლისთვის 515,321 ჯარის-კაცი ჰყავდეს. 5 წლიწადში ამის ხარჯად 140 მილიონი ნავარაუდევი.

სოციალისტები და პოლონელნი ამ პროექტის წინააღმდეგნი იყვნენ.

ლონდონი. ოსმალეთმა ინგლისს აცნობა ბულგარეთის გზის თაობა-

ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოება და მისი მნიშვნელობა

1910 წლის 22 დეკემბერს, დამტკიცებულ წესდების ძალით საზოგადოების მიზანია თავის წევრების შეერთებულ ძალით, შეუწყოს ხელი ტფილისის გუბერნიის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებასა და გაუმჯობესობას.

ამ მიზნის მისაღწევად საზოგადოებას ნება ეძლევა: ა) სოფლის მეურნეობის სხვა და სხვა დარგის მდგომარეობა შეისწავლოს და მისი საჭიროებანი და მოთხოვნილებანი გამოარკვიოს, რისთვისაც დრო-გამოშვებით საბაასოდ კრებებზე და ყრილობებზე წევრებს მოიწვევს; ექსპედიციებსა და ექსკურსიებს მოაწყობს. ბ) სასოფლო მეურნეობა თეორიულსა და პრაქტიკულ ცნობებს გაავრცელებს. რისთვისაც გამართავს საჯარო ლექციებს, დაბეჭდავს და გაავრცელებს თავის ნაშრომებსა და ყოველგვარ სამეურნეო თხზულებებს. აგრეთვე, როცა შეიძლებს, პერიოდულ ჟურნალს გამოსცემს, დაარსებს სამეურნეო სასწავლებლებს, წიგნთ-საცავსა და მუზეუმს. გ) სასოფლო-მეურნეობის საუკეთესო წესრიგის შემუშავებას ეცდება, რისთვისაც მიღებული სამეურნეო წეს-რიგი უნდა გამოსცადოს, სამეურნეო მანქანებისა, იარაღებისა, საქონლის მორთულობისა და სხვა შეჯიბრება (კონკურსი) ჰმართოს. დაარსოს საცდელი სადგურები, მინდვრები, ვენახები, ხეხილის ბაღები, სანერგეები და სხვ. დ) შუამავლობა იკისროს მეურნეობისათვის საჭირო ნივთების შეძენაში და ადგილობრივ ნაწარმოების გასაღებაში, რისთვისაც დაარსებს საკომისიო ბიუროებს, სამეურნეო საწყობებს და სხვას. ე) გამართოს გამოფენები და საჯარო ვაჭრობანი. ვ) ხელი შეუწყოს თავის წევრებს საწარმოვო ან გამსაღებელ ამხანაგობათა დაარსებაში და აგრეთვე თვითონაც დაარსოს ამხანაგობანი. ზ) მოაწყოს სხვა და სხვა დარგის კომიტეტები და ადგილობრივი განყოფილებანი. საზოგადოებას უფლება ეძლევა უძრავ და მოძრავი საკუთრება შეიძინოს. საზოგადოების წევრობა შეუძლიან ყველას, განურჩევლად სქესისა და წოდებისა, ვინც თვითონ ადგია სოფლის მეურნეობას და ყველას, ვინც ყურადღებას აქცევს სოფლის ცხოვრებას.

საწევრო ფული ამ საზოგადოებაში მეტად მცირეა — წლიურად სამი მანეთი, ამას გარდა, წევრად ჩაწერის დროს, ყოველი ახალი წევრი ერთ-დროებითად ერთ მანეთს იხდის. საზოგადოების შემოსავალია—საწევრო ფული, სხვა და სხვა შემოწირულება, სხვა და სხვა დაწყებულ საქმის მოგება. საქმეს საბჭო განაგებს; საბჭოს წევრთა რაოდენობას სიზოგადო კრება განსაზღვრავს.

როგორცა ჰხედავთ, ამ საზოგადოებას მეტად ფართო უფლებები აქვს მინიჭებული. მაგრამ ამ უფლებათა ჩამოთვლით არ შეიძლება წინ და წინვე გავითვალისწინოთ, თუ რა სახესა და რა მიმართულებას მიიღებს მისი მოქმედება მომავალში. ეს სახე და ეს მიმართულება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რას მოითხოვს ადგილობრივ სოფლის საჭიროება.

წინა წერილში უკვე აღვნიშნეთ, რომ ჩვენებურ სოფლის ასაღორძინებლად აუცილებლად საჭიროა ადგილობრივ მეურნეობის გარდაქმნა—მოძველებულ სამეურნეო წესების უკუგდება, ახალ წესების შემუშავება და შემოღება. საჭიროა გამოვიყენოთ ყველაფერი, რასაც მეცნიერება გვასწავლის, ყველაფერი, რასაც გამოცდილება გვეუბნება: სამისოდ კი საჭიროა:

ა)—სოფლად სამეურნეო ცოდნა გავავრცელოთ

ბ)—ხალხს საქმისთვის საჭირო თანხა ვუშოვნოთ.

გ)—ყოველგვარი კოოპერატიული ამხანაგობანი დავაარსოთ.

აი ამ მიზნის განხორციელება უნდა იკისროს ახლად დაარსებულმა ქართულმა სამეურნეო საზოგადოებამ.

რა საშუალება აქვს მას ხსენებულ მიზნის განსახორციელებლად?

ერთის შეხედვით ადამიანს პირველი მიზანი უფრო საძნელოდ მოეჩვენება; ე. ი. სამეურნეო ცოდნის გავრცელება ჩვენში, მაგრამ დასავლეთ ევროპის გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ სამეურნეო ცოდნა ვრცელდება ხალხში არა მარტო სასწავლებლებით, არამედ სხვა გზითაც და უფრო ადვილადაც. ეს სხვა გზა ყველგან საოცარი სასარგებლო გამოდგა, ჩვენმა საზოგადოებამაც ამ გზას უნდა მიჰმართოს. სხვა და სხვა რაიონში უნდა მოუწყოს საცდელი და სანიმუშო სადგურები, ყანები, ვენახები, ბაღები, — აქ მეზობლად მცხოვრები ხალხი აშკარად დაინახავს, რამდენად სასარგებლო და მისაღებია ახალი წესი, ახალი სამეურნეო იარაღი, ახალი თესლი,—მუშაობის საუკეთესო წესებსაც აქ ეჩვევა. ამას გარდა საზოგადოება სხვა და სხვა სოფელში მცოდნე მასწავლებელ მეურნესა ჰგზავნის რომელიც სოფელ-სოფელ დაიარება. ხალხს ყველგან საჭირო რჩევასა და დარიგებას აძლევს. საჯარო ლექციებს აწყობს ყველას ხელს უწყობს ვისაც ახალი რისიმე შემოღება უნდა, ვინცა სცდილობს თავისი მეურნეობა გააუმჯობესოს. ამ გაუმჯობესებით შეიმატოს შემოსავალი. ესევე მასწავლებელი საცდელ და სანიმუშო დაწესებულებებთან სოფლის მუშებსა სწვრთნის და ამ რიგად ხელს უწყობს ხალხში სამეურნეო ცოდნის შეტანას. ამის გარდა საზოგადოება ხალხში ავრცელებს ადვილად გასაგებ სამეურნეო წიგნაკებს, აწყობს გამოფენებს, სამეურნეო იარაღებს საჯაროთ გამოცდის და სხვა და სხვა,—ვინ ჩამოსთვლის სათვითოოთ ყველა იმ საშუალებას, რომელიც საზოგადოების ხელთ არის, და რომელიც მეტად ადვილი გამოსაყენებელია ხალხში სამეურნეო ცოდნის გასავრცელებლად.

ამნაირ პრაქტიკულ საშუალებით სამეურნეო ცოდნა ხალხში საოცარის სისწრაფით ვრცელდება. სოფლის მცხოვრები შრომის ახალ წესს უკვირდება, მასაც ეღვიძება სურვილი თავისი საქმე უკეთესად მოაწყოს.

მაგრამ საქმის უკეთესად მოწყობას ფული უნდა და აი საჭირო ხდება ამ ფულის შოვნა მცირე სარგებლით, იაფად.

სასოფლო-საკრედიტო დაწესებულებების საქმე ჩვენს ხალხისათვის უცხო არ არის,—უკანასკნელ ხანებში მათი მოწყობა მეტად გაადვილდა, რადგანაც მთავრობა ხელს უწყობს მათ და სახელმწიფო ბანკის საშუალებით საჭირო თანხასაც აძლევს, მაგრამ მხოლოდ დაწესებულების მოწყობით საქმე არ გაკეთდება. სოფლის მეურნეს უნდა ვასწავლოთ, თუ როგორ უნდა ისარგებლოს კრედიტით. ნუ დავივიწყებთ, რომ კრედიტი მხოლოდ მაშინაა სასარგებლო, როდესაც ვალის ამღები დაწესებულება მომგებიანი და სასიცოცხლოა, წინააღმდეგ შემთხვევაში ნასესხები ფული იხარჯება და თვით სოფლის მეურნე უფრო დავალიანებული რჩება.

ამიტომ სასოფლო საკრედიტო დაწესებულებათა საქმეში ჩვენმა საზოგადოებამ უნდა შეუწყოს ხელი, ერთის მხრივ მათ დაარსებას სხვა და სხვა სოფლად, მეორეს მხრივ კი —ეს მეორე მხარე უმთავრესიც არის, სოფლის ხალხს უნდა გააგებინოს კრედიტის ნამდვილი მნიშვნელობა და სარგებლობა. მანვე ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს უკვე დაარსებულ საკრედიტო ამხანაგობათ, სანამ ფეხს მოიკი-

ე წინადადება მაქვს წარმოსადგე- ო. ინგლისმა შეუთვალა, სიამოვ- ებით განვიხილავთო.

პალატაში გრეიმ განაცხადა: ინგ- ისი მზადაა ამერიკასთან მოლაპა- აკება გამართოსო. მთავრობა პრა- ტიკულად მოსაზრებულ გეგმას ხარს დაუჭერსო.

სტამბოლი. პალატაში მინისტრ- ა განაცხადა თავ-დაცვის ხარჯები ოელ ხარჯთ-აღრიცხვის ნასამედს ადგენსო. თავისუფალი ნაღდი ანხა დეფიციტის ნახევარს დაჰფა- ავს, დანარჩენ $4^1/_2$ მილიონს კი სხით დავფარავთო. შემოსავლის ს ადიდებლად მიწებზე გარდასახადს ოუმატებთ, უცხოელთათვის საპა- ენტო გადასახადებს დავაწესებთ, ადამოენო ტარიფებს შემოვიღებთ, ის თამბაქოდაც სახელმწიფოებთან ოლაპარაკება უკვე დავიწყეთო.

ათინა. ოსმალეთის მეომრები ქონლის ჯოგს დაედევნენ და ჯნას გადასცდნენ. საზღვრის და- აჯებთან სროლა მოუხდათ. ორი სმალო მეომარი მოჰკლეს, ერთი ერძენი მეომარი დაიჭრა.

პარიზი. პალატაში სახელმწიფო მი- სტრმა უარჰყო ის ხმები,—ვი- ომც ჯავშნოსან გემთა გეგმები აკარგულიყოს. პიშონი თხოუ- ობს, სამბას რეზოლიუცია უარ- ყონ, ვინაიდან ჩვენ რომ შეიარა- ების შემცირების ქადაგება დავი- წყოთ, ამავე დროს სხვა სახელმწი- ფონი უფრო უმატებენ შეიარაღე- ბასო. სამბა წინადადებას იძლე- ა, სახელმწიფოებთან მოლაპარაკე- ბა დაიწყონ შეიარაღების შემცირე- ბაზე.

352 ხმით 189 წინააღმდეგ სამბას ნადადება უარჰყვეს. დიუმონის ეზოლიუციას პიშონის თანხმობით ებულობენ 447 ხმით 56 წინა- მდეგ: მეგობარ სახელმწიფოებს თხოვოს, რათა ჰააგის კონფერენ- ის მახლობელ კრებაზე შეიარა- ების შემცირების საკითხი განიხი- ონ.

რუსეთი

პეტერბურგი. სახელმწ. საბჭოს მისია საბჭოს წინადადებას აძლევს უღლისწულო და უქმე დღეთა ანონი შესცვალონ და მათი რიც- ვი შეამოკლონ, ხოლოდ უქმედ დას- ოვონ: კვირა დღე, ეკლესიის ღეობა, ხელმწიფის და მის უავ- უსტოეს სახლობის სახელწოდების ღენი და ის დღენი, როდესაც მე- ღიწიეობა წირვის შემდეგ იწყება ოლმე. კომისიის მოხსენებასთან რთად წარდგენილია არქიეპისკოპოს ისენის, ეპისკოპოს ნიკონისა და ბლერის დამატება, სადაც ნახსე- ებია, რომ უქმე დღეები სინოდის ანხმობით უნდა დაწესდეს და სინოდის მიერ შედგენილი უქმე დღეთა სია 1909 წ. 28 მ. საკანონმდებლო გზით უნდა დამტკიცდესო.

სენატმა დაადგინა: ვინც გაზეთებში მთავრობის ოფიციალურ პასუხს შეცვლის ან შენიშვნებით დაჰბეჭდავს, ან მის საპასუხოდ მოათავსებს რასმეს, სასჯელთა დებულების 151 და 1033 მუხლის ძალით დაისჯებაო.

მინისტრთა საბჭომ საჭიროდ სცნო ურალ-ორენბურგ-აკმოლინსკ-სემიპალატინსკის გზა გაიყვანოს, რომელიც დაახლოვებით 150—160 მილ. მანეთი დაჯდება.

მინისტრთა საბჭომ განიხილა საკითხი, რომ ნაღდ თანხაზე გარდასახადი დააწესოს. ეს პროექტი ჯერ არ დაუდასტურებიათ.

რეველი. კუნძულ ლევენურს უზარმაზარი ყინული მოსწყდა და თან 500 მებადური გაიტაცა.

შავი ჭირი

დეპეშა

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან

ხარბინი. 10 თებერვალს იყო: ობსერვაციაში 661 ადგილობრივი მცხოვრები, 7 ევროპიელი, განცალკევებულია 17 ადგილობრივი მცხოვრები, სამი ევროპიელი, საავადმყოფოში 16. საავადმყოფოში მოკვდა 13. დარჩა: ობსერვაციაში 569 ადგილობრივი მცხოვრები, 7 ევროპიელი, განცალკევებულთაგან —8 ადგილობრივი მცხოვრები, 3 ევროპიელი, საავადმყოფოში—3. იპოვეს 11 გვამი. დღე-ღამის განმავლობაში მოკვდა 24 ადგილობრივი მცხოვრები. ავად გახდა მოწყალების და სნეკოვა.

პეკინი. ვლადივოსტოკში მიმავალ მუშებს ექიმები გასინჯავენ.

ხარკოვი. საგუბერნიო ერობა შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რომ რკინის გზებზე შემოიღონ აუცილებელი დეზინფექცია.

ირკუტსკი. შავი ჭირის საწინააღმდეგო კრებამ დაადგინა, შეუცვლელად დასტოვოს უკვე შემუშავებული ზომები.

ვლადივოსტოკი. საოლქო კომისიამ დაადგინა, ჩინელ მუშებს აუკრძალოს შემოსვლა. ეს დადგენილება მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გაეგზავნოს.

ტოკიო. გაზეთები სიამოვნებით ეგებებიან რუსეთ-ჩინეთის უთანხმოების დაცხრობას.

ვლადივოსტოკიდან „რუსკ. სლ.“ ატყობინებენ, რომ მდინარე ნორას მახლობლად აღმოაჩინეს ახალი ბუდე შავი ჭირისა.

ხარბინში შავ ჭირთან ბრძოლაში უკვე ოცდა ათი ექიმი, ფერშალი და სანიტარი მომკვდარა.

მონგოლიაში შავი ჭირი იზრდება. როგორც ეტყობა, შავი ჭირი თან და თან ბაიკალის ტბას უხლოვდება.

მონაპირე ჯარის-კაცები იტყობინებიან, რომ ხარბინის მახლობლად მდებარე სოფლები სავსეა შავი ჭირისაგან დახოცილთა გვამებითაო.

დაძრწიან ძაღლები, რომელნიც შავი ჭირი ერთი ალაგიდან მეორეში გადააქვთ. შიშობენ, რომ გაზაფხულზე მდინარეები და ნიადაგი შავი ჭირით არ მოიწამლოს.

ავსტრიელები, ჩინეთში მცხოვრები, თხოულობენ, რომ ავსტრიაში გასაგზავნი კორესპონდენცია ფოსტაში არ მიიღონ ხოლმე.

ჩინეთის ყაზარმებში კიდევ მოკვდა 90 კაცი. გვამები სალდათებს იაპონიის საზღვრებისკენ მიაქვთ.

ახალი ამბები

ტფილისი

✦ დღეს, დილის 11 საათზე, ძმათა ზუბალაშვილების სახალხო სახლში მოხდება წლიური კრება **ტფილისის სახალხო უნივერსიტეტის წევრებისა.** განხილულ იქნება ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა და არჩეულ იქნებიან გამგეობის ახალი წევრები, რიცხვით 8 კაცი. ძველ წევრთაგან რჩებიან გამგეობაში: ვ. რცხილაძე (თავმჯდომარე), ერმოლაევი, მიკირტუმოვი, როხლინა, ფედოროვი, ლემანი, მეკკელი, ახალ კანდიდატების სია: სერგ. ჯაფარიძე, მ. ქარცივაძე, ს. კაკაბაძე, ი. ცინცაძე (ია ეკალაძე,) კ. გოგუა, პ. გელეიშვილი, გეონდიანცი, მარქაროვი, ძიძიშვილი, ნათაძე.

✦ როგორც გვწერენ, ქუთაისის გუბერნიის ბევრს სოფელში **დღისით მგლები ჩამოდიან** და მცხოვრებთ შიშის ზარსა სცემენ.

✦ ამ ჟამად კახეთში საბოლოოდ იკვლევს **კახეთის რკინის გზას 15** ტეხნიკოსი ინჟენერ დვორნიჩენკოს მეთაურობით. მუშაობას 20 აპრილისთვის დაასრულებენ. ამ დღეებში კახეთს გაემგზავრებიან სააქციონერო საზოგადოების დამაარსებელნიც: თავადნი მ. პ. თუმანიშვილი და დ. გ. ჩოლოყაშვილი.

✦ აგერ 4—5 დღეა, მტკვარში ვერის ხიდისაკენ, **გარეული იხვები** გაჩნდნენ.

✦ როგორც მკითხველებმა იციან, ამ ჟამად ოზურგეთში არსებობს ჩაისა და თამბაქოს სანერგეები. მიწად მოქმედების დეპარტამენტს გადაუწყვეტია, ოზურგეთში მხოლოდ თამბაქოს სანერგე დასტოვოს, ჩაისა კი სხვა ადგილს გადაიტანოს, რკინის გზის მახლობლად.

✦ გადაიდო 15 ათასი მანეთი მდინარე **ჭოროხის ნაპირების** გასამაგრებლად. როგორც ვწერდით, მდინარე მომავალ წყალდიდობის დროს დიდს უბედურებას უქადის ბათომსა და მის მიდამოებს.

✦ პეტრე ვერნიაშვილის სიტყვით შეურაცყოფისათვის ტფ. ოლქის სასამართლომ 2 კვირით **დაპატიმრება** მიუსაჯა საპოლიციო უბნის ზედამხედველს ფატალიბეკოვს.

✦ დღეს კრება ექმნება კავკასიის სასოფლო **სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს. საზოგადოების წევრთა თათბირი მოჰხდება 16 თებერვალს. ამ თათბირზე უნდა დასახელებულ იქმნენ საზოგადოების საბჭოს წევრთა კანდიდატები. საზოგადოების წევრთა საერთო კრება, როგორც ვწერდით, 27 თებერვლისთვის არის დანიშნული.

✦ 11 თებერვალს გორისა და ტფილისის პოლიციამ ტფილისში შეიპყრო გორის მაზრის სოფ. ბერშუეთის მცხოვრებნი: ილია გიორგის-ძე წიკლაური და სპირიდონ მიხეილს-ძე ახალბედაშვილი.

✦ დღეს ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი და ექიმი სტეფანოვი პეტერბურგს მიემგზავრებიან.

✦ როგორც ვიცით, ქალაქის საბჭომ დაადგინა, სამ საარჩევნო უბნად გაჰყოს ტფილისი ხმოსანთა არჩევნების დროს. ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ სასურველად იცნო, რომ ტფილისი მეტ საარჩევნო უბნად დაიყოს.

✦ ტფ. ქალაქის საბჭოს სატრამვაიო კომისიამ 10 იანვრიდან 7 თებერვლამდე ტრამვაის დირექცია — **11,968 მან. დააჯარიმა.**

✦ **ავიატორი ვასილიევი** ასხაბადს გაემგზავრა საფრენად.

✦ ტფ. ვაჭართა მამასახლისმა ა. ნ. მილოვმა ვაჭართა შორის 1,080 მან. შეაგროვა სემირეჩიის მხარეში დაზარალებულთა სასარგებლოდ.

✦ ყასბები ქალაქის გამგეობის წინაშე შუამდგომლობენ, რომ ცხვრის ხორცზე ნიხრი არ იქმნეს დაწესებული.

✦ სოფ. კავთისხევიდან (გორის მაზრა) გვატყობინებენ, რომ იქ **გაჩენილი ერთგვარი ავადმყოფობა,** რომელსაც უკვე რამდენიმე კაცი უმსხვერპლია, ავადმყოფებს ყელი ასტკივათ ხოლმე და მერე თავი უსივდებათ. გავრცელებული ყოფილა აგრეთვე ბავშვების ავადმყოფობა.

✦ როგორც გვწერენ, თიანეთში **ყვავილი** მძვინვარებს.

✦ გამოვიდა მორიგი (10) ნომერი ჟურნალ „ცხოვრება და ხელოვნებისა“, შემდეგ შინაარსით:

მოწინავე. საშინელი დასკვნა, ეკ. გაბაშვილისა. ლიტერატურული შენიშვნები, იპ. ვართაგავა. სად? (ჰეინედან), ა. გაფრინდაშვილი. შაური, დ. მესხი. შინაურობაში, ბ. ა.—ნი. იხარხარე ავო სულო, გ. ფოცხოველი. ვითომ რეცენზია, ას. პ—ფია, დამატება: განწმენდის სასახლე დრ. 3, მოქ. შოთა ცადიანი, სახლში მეტერლინკისა, თარგ. კონსტან ანდრონის მიერ. ბედი გადასწყდა, ერთ მოქმედ. სურათი ი. მჭედლიშვილი.

✦ ბრიტანიკურ ბაღის შესავალთან აგერ რამდენიმე დღეა ერთი საშიში გიჟი გაჩნდა, რომელიც გამვლელ-გამომვლელთ განსაკუთრებით ქალებსა და ბავშვებს, მოსვენებას არ აძლევს. ამ გიჟის გვარი ტერ-გრიქოროვია. მიწად მოქმედების მთავარი რწმუნებული გუბერნატორს სთხოვს, განკარგულება მოახდინოს, რათა ეს გიჟი ბაღის კარებს მოაშოროს.

✦ მიწად მოქმედების დეპარტამენტმა 13,360 მან. გადასდო ყარაიაზის საცდელ მინდვრისთვის, ხოლო 7,050 მან. საჩვენებელ მინდვრისთვის.

ქუთაისი

✦ **ლექციები ბატონ-ყმობაზე სახალხო უნივერსიტეტში.** 6 თებერვალს, ადგილობრივმა სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ ქალაქის თეატრში გამართა ლექცია. ლექცია წაიკითხა სახალხო უნივერსიტეტის ცნობილმა რექტორმა **გრ. ტ. გიორგაძემ** შემდეგს თემაზე: „ბატონ-ყმობა რუსეთში და მისი გაუქმება“.

ლექტორმა ჩვეულებრივად მდაბიურს ენაზე განუმარტა მსმენელებს ბატონ-ყმობის აღორძინებისა და მისი გაუქმების ისტორია რუსეთში. ლექციას ხალხი ბლომად დაესწრო. ლექტორიც მხურვალე ტაშის ცემით დააჯილდოვა.

✦ 8 თებერვალს ქალაქის გამგეობის დარბაზში **ილია ბახტაძემ** წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე: „ბატონ-ყმობა საქართველოში და დანიელ ჭონქაძე“. შინაარსიანმა და გარკვეულად წაკითხულმა ლექციამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელ საზოგადოებაზე და ლექტორიც ტაშის ცემით დააჯილდოვა.

✦ 19 თებერვალს სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა მართავს მთელ რიგ უფასო ლექციებისას შესახებ ბატონ-ყმობის აღორძინებისა და გაუქმებისა რუსეთში და საქართველოში. ლექტორებად გამოდიან; **ალ. გარსევანიშვილი, უზნაძე, ვლ. ემუხვარი, გრ. გიორგაძე და ლ. ნათაძე.**

✦ როგორც მკითხველ საზოგადოებას მოეხსენება, ხმოსნების არჩევნების დროს ქუთაისში ეგრედ წოდებული პროგრესიული ბლოკი მუშაობდა, რომელსაც კატეგორიულად გადაწყვეტილი ჰქონდა ეხლანდელი ქალაქის თავის გაშავება. ბლოკს შეუსრულდა მიზანი, ქალაქის თავი ხმოსნად გაშავებულ იქმნა, რითაც მას წაერთვა ზნეობრივი უფლება ყოფილიყო ქალაქის თავის ადგილზე.

დღეს როცა სამწუხაროდ მთელი ქალაქის მცხოვრებლებისა, საბჭოს მიერ, თითქმის ერთსულოვანად არჩეული იაკობ ფანცხავა ნამესტნიკმა არ დაამტკიცა ბლოკში ზოგიერთი აქტიურად მომუშავე პირები მათდა სამარცხვინოდ, ისევე ძველ თავს ეპატიჟებიან: მოდი და ისევ შენ გვიმამეო. ეს საქციელი არამც თუ არა საკადრისია, პირდაპირ აზეფურია.. შემდეგ ამ საკითხს ვრცლად შევეხებით და მაშინ შევატყობინებთ საზოგადოებას, თუ რამდენად რიგიანი ყოფილა ბლოკის აქტიურ წევრების საქციელი.

✦ თოვლი ქუთაისში ერთბაშად დნება. ქუჩებში მარხილების მიმოსვლა გაძნელებულია. რიონი კალაპოტიდან გადმოდის. მიმოსვლა ხონსა და ქუთაისს, ქუთაისსა და ბაღდადს, ცაგერსა და ქუთაისს ერთი თვეა შეჩერებულია.

მარიამ დემურიას ხსოვნის აღსანიშნავი საღამო

დღეს, 13 თებერვალს, ზუბალაშვილების სახალხო სახლთან არსებულ ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე ხსოვნის პატივსაცემლად მარიამ დემურიას საღამოსა ჰმართავს.

მ. დ. სახელი იმდენად საყვარელი და საპატიო, რომ არა თუ ჩვენ, მის მახლობელ მეგობრებს, გარეშეთაც კი ღრმა პატივისცემის აღუძრავს ხოლმე გულში.

ვისაც ხალხი და სახალხო საქმე მხოლოდ სიტყვის მასალად არ გაუხდია, ვისაც სწამს იმისი საუკეთესო მომავალი მისთვის მარიამ დემურიას სახელი და ხალხის გათვითცნობიერების ინტერესები სინონიმებია, რადგან განსვენებული ყოველს სახალხო საქმეს ისეთის სიყვარულით ემსახურებოდა, როგორც კეთილი დედა თავის პირველ შვილს. მან, ჯერ სიცოცხლით სავსემ, თავისი საკუთარი თავი დაივიწყა და მთელს ძალ-ღონით საზოგადო საქმეს მიეცა. მისი არსება განსაკუთრებით მოჯადოებული იყო იმ აზრით, რომ ხალხისთვის გონებრივი და ზნეობრივი საზრდო მიეწოდებინა და მით გაეადვილებინა ქართველი ხალხისთვის შეგნება მოქალაქის მოვალეობისა და უფლებისა.

მარიამ დემურია იშვიათი პიროვნება იყო.

ებდენ და წელში გამაგრდებოდენ.

მაგრამ ცოდნაცა და თანხაც არ მარა, ჩვენ სასოფლო მეურნეობის რდაქმნა გვინდა. ამ ცოდნით და პიტალით მხოლოდ ზოგიერთები ისარგებლებენ სწორედ ისინი, ვი- ც მეტი საქმის უნარი შესწევს,— ალხის უმეტესობა განზე დარჩება ამ საშუალებას თავისთვის ვერ მოიყენებს.

ცოდნასა და კაპიტალს გარდა სა- ირო გაუმჯობესებული სამეურ- ეო იარაღები, გაუმჯობესებული ესლი, მიწის სასუქი, წამლები, კეთესი ჯიშის საქონელი და სხვა. ყოველივე ეს წვრილ მეურნესათვის ლმისაწვდომი არ არის, სასყიდ- ად ძვირი დაუჯდება, შეიძლება ოგიერთ საქმეში (რძის საქმე, მე- ვინეობა, მეაბრეშუმეობა და სხვა) თული და ძვირი მანქანებია საჭი- რო, მცოდნე სპეციალისტების ხელ- ლვანელობაა საჭირო. საჭიროა რეთვე ნაწარმოების კარგ ფასში ყიდვა, რადგანაც ცხოვრების ახ- ანდელ პირობებში სოფლის მე- ურნეობა შეიძლება კარგ მოსავ- იან წლებშიაც საზარალო გამოდ- ეს, სოფლის ნაწარმოებს ბაზარში რგიანი ფასი თუ არ მიეცა.

ყოველივე ეს ძნელი და შეუძლე- ლია კერძო პირისთვის,—ადვილი და სახერხებელია საამხანაგოდ.

ამიტომ სხვა-და-სხვა გვარ სასოფლო კოოპერაციების მოწყობა საჭირო ხდება. ამ კოოპერაციების უმთავრესი მიზანია—სოფლის მეურნეობისათვის საჭირო რამეების საამხანაგოდ შეძენა, სოფლის ნაწარმოების საამხანაგოდ წარმოება, გაყიდვა, და სხვა.

ასეთ კოოპერატიულ ამხანაგობების მოწყობა და პირველში ხელმძღვანელობაც—საზოგადოების მესამე მიზანია.

აგრონომ-ინსტრუქტორებისა და სამეურნეო გამოცემათა საშუალებით ხალხში სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელება, განახლებისაკენ და აღორძინებისაკენ სოფლის მეურნეების მოწვევა, საცდელ და სანიმუშო დაწესებულების დაარსებით განახლებისა და აღორძინების სრულ სარგებლობის ჩვენება, საკრედიტო და ყოველგვარ კოოპერატიულ ამხანაგობების მოწყობა, მათი ხელმძღვანელობაც პირველში, —შემდეგ ამ ამხანაგობათა გაერთიანება,—აი ის საშუალება, რომელსაც უნდა მიმართოს ახლად დაარსებულმა საზოგადოებამ დასახულ მიზნის განსახორციელებლად.

ამნაირად ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოება განსაკუთრებით საორგანიზაციო საზოგადოებაა, მან უნდა შექმნას ქართველ სოფლის მეურნეებში კოოპერატიული მისწრაფება და მეურნეობის წესების თან და თანს გარდაქმნას ხელი შეუწყოს.

შესძლებს კი ნორჩი საზოგადოება ამ მიზნის მიღწევას? ნუ შეგვეშინდება, — დასავლეთ ევროპაში კოოპერატიულ მოძრაობის ისტორია გვიჩვენებს, რომ საქმე ყოველთვის მცირე დაწესებულების დაარსებით იწყებოდა, შემდეგ, სულ მოკლე ხანში, იზრდებოდა და ქვეყნის ყველა კუთხეში ფეხს იკიდებდა. ჩრდილო იტალიაში მაგ. სულ 10—15 წლის განმავლობაში დაარსდა აურებელი კოოპერატიული ამხანაგობა, და სოფლის მეურნეობამაც ახალი სახე მიიღო. ასეთსავე მოკლე ხანში გაიზარდა ირლანდიისა, ჰოლლანდიისა, დანიისა და სხვა ქვეყნების სხვა და სხვა სახის კოოპერატიული დაწესებულება.

საჭიროა საქმის პირველი დაწყება, საჭიროა პირველი ნაბიჯი. ხალხის ქონებრივი ინტერესები თვითონ აიძულებენ მას შემდეგი ნაბიჯები გადასდგას და დარწმუნდეს, თუ რამდენად სასარგებლოა მისთვის მეურნეობის ახალი წესები და წყობილობა.

ქონებრივი სახსარი თვით საზოგადოებისათვის—მის ორგანიზაციის მოსაწყობად ბევრი ფული არ არის საჭირო. პირველ ერთ ან ორ წელიწადს ყველა ხარჯი რომ ვივარაუდოთ (მდივანი, ინსტრუქტორი, მისი გზის ხარჯი, წიგნაკების დაბეჭდვა, საცდელ ყანების მოწყობა და სხვა),— შეიძლება 4000 მანეთიც არ ეყოს. ეს ისეთი დიდი თანხა არ არის, რომ შეგვაშინოს და საქმეზე ხელი აგვაღებინოს.

მაგრამ თვით სასოფლო მეურნეობის გასაუმჯობესებლად და სხვა და სხვა ამხანაგობის მოსაწყობად დიდძალი ფულია საჭირო. ამ ფულის საშოვნელად ერთი წყარო—სასოფლო საკრედიტო ამხანაგობანი უკვე ვახსენეთ. შეიძლება ახლა სხვა წყაროებიც დავასახელოთ.

პირველი ის, რომ ჩვენმა სამეურნეო ბანკმა (ტფილისის სამეურნეო საურთიერთ კრედიტის საზოგადოება) თავისი პირვანდელი დანიშნულება უნდა აასრულოს და თავისი თანხები უმთავრესად სასოფლო სამეურნეო საჭიროებათა დაკმაყოფილებას უნდა მოახმაროს. საამისო ბანკმა წევრებად წვრილ კრედიტის ამხანაგობანიც და სხვა კოოპერატიული ორგანიზაციებიც უნდა მიიღოს. ამ ჩვენმა სამეურნეო ბანკმა ბოლოს წვრილ კრედიტის კოოპერატიულ ამხანაგობათა მეთაურობა უნდა იკისროს.

მეორე,—ყოველგვარ სამეურნეო გაუმჯობესების მოსაწყობად ჩვენს თავად-აზნაურობას დიდ ძალი ეგრედ წოდებული, სამეურნეო თანხა აქვს. თავად-აზნაურობამ უნდა უშოვნოს კოოპერატიულ ამხანაგობებს ძირითადი სატრიალებელი (საღებ-მიცემო.) თანხები, მანვე უნდა მოაწყოს საცდელი და საჩვენებელი მინდვრები, ვენახები და სხვა.

ამის გარდა თვით სოფლის გლეხობას საკუთარი სამეურნეო თანხები აქვს,—ეს თანხებიც მეურნეობის გაუმჯობესობას უნდა მოხმარდეს.

დღევანდლამდე ყველა ეს თანხა სოფლის მეურნეობისათვის უსარგებლოდ რჩებოდა, რადგანაც არ იყო ისეთი ადგილობრივი ორგანიზაციები, რომელთაც შეეძლოთ შუამდგომლობა ეკისრათ და სოფლის მცხოვრებლებისთვის კრედიტი მოეწყოთ. ეს შუამდგომლობა ადგილობრივმა კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა უნდა იკისრონ.

არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე ის გარემოება, რომ სოფლის მცხოვრებლებს კიდევ კერძო ფულიცა აქვს,—ეს ფული დღეს დღეობით ან უსარგებლოდ შინაა შენახული, ან —სახაზინო კასსებში შედის. როდესაც ადგილობრივი წვრილ კრედიტის ორგანიზაციები გამრავლდებოდა ხალხიც მათ ნდობით მოეკიდება, მაშინ თავისუფალი თანხა ამ ორგანიზაციებს მიეცემა შესანახად. გერმანიაში მაგალითად წვრილ კრედიტის დაწესებულებათ აურებელი თანხები შეუგროვდათ, გაცილებით იმაზე მეტი, რაც თვითონ ეჭირვებათ და ახლა იქ თითქმის აღარ იციან ეს ფული რას მოახმარონ

ამნაირად არ უნდა გვეშინოდეს იმისი, რომ ფული შემოგვაკლდება, თუ კი რა თქმა უნდა, ადგილობრივი საკრედიტო დაწესებულებანი ერთმანეთთან შეთანხმებულად იმოქმედებენ.

ფულზე უფრო საჭიროა საქმისათვის რამდენიმე ერთგული და თავდადებული ადამიანი, რომელნიც მზად იქნებიან მის მოსაწყობად პირადი შრომა არ დაიშურონ. მაგრამ მგონია, ამისთანა მოღვაწე არა ერთი მოგვეპოვება. საჭიროა მხოლოდ რამე ორგანიზაცია თავის მოსაყრელად და საერთოდ საქმის მოსაწყობად. ვისურვებთ, რომ ახლად დაარსებულმა ქართულმა სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ მოახერხოს და თავი მოუყაროს ყველას, ვისაც გული შესტკივა ჩვენი ხალხის ახლანდელ მდგომარეობით, —ვისურვებთ განსაკუთრებით, რომ სოფლის ინტელიგენციამ მხურვალე მონაწილეობა მიიღოს ამ საზოგადოების მოქმედებაში, რადგანაც უამისოდ ძნელია ჩვენი დაბეჩავებულ და გაღარიბებულ სოფლის აღორძინება და განახლება.

ს. ვ—ძ—.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი თითქმის უჩინარი, უპატენტო, მაგრამ ძლიერის სულის მქონე ადამიანები ხშირად როდი იბადებიან.

არის მოღვაწე, რომელიც ბევრს აკეთებს, მაგრამ მას რაიმე, ან ვინმე ამოქმედებს. არის მოღვაწე, რომელსაც მხოლოდ რაღაც ამოქმედებს და ეს რაღაც არის თვით მისი ბუნება, მისი საკუთარი სული ძალ-დაუტანებელი, მხნე, შეუპოვარი, ყოველმხრივი...

ასეთი პიროვნება თვით ჰქმნის სამოღვაწეო ასპარეზს, და შეუდრეკლად ეწევა ჰპანს საუკეთესო მომავლისაკენ.

ამასა ჰქვიან უანგარო მოღვაწე.

და ასეთი პიროვნება იყო მარიამ დემურია.

იგი თითქმის ოცის წლის განმავლობაში უანგაროდ შრომობდა ხალხისთვის, სიცოცხლე შესწირა საყვარელ საქმეს და აი ნაყოფიც: ის ხალხი, რომლისათვისაც მას სიყვარულით უცემდა პატიოსანი გული, დღეს თავის ტაძარში—სახალხო სახლში—იმის პატივსაცემელ საღამოსა ჰმართავს, რომლის შემოსავლის ნაწილი განსვენებულის საფლავის გამშვენიერებას მოხმარდება.

7 საათზე გადაიხდის პანაშვიდს, შემდეგ კი გაიმართება კითხვა, წარმოდგენა და დივერტისმენტი, რომელიც განსვენებულის ხსოვნას ეძღვნება.

გულს გული იცნობსო—ნათქვამია. ხალხი სცნობს თავის წრფელ მეგობარს და დღეს იგი მადლობითა და სიყვარულით გულ აღსავსე მიდის სახალხო სახლში, რათა პატივი სცეს ღირსეულს სახელს თავისის მეგობრისას.

და ეს საუკეთესო მაჩვენებელია იმისა, რომ განსვენებულის მოღვაწეობამ თავისი ნაყოფი გამოიღო—შევიგენით მოვალეობა, მაშასადამე შეგნებულიც გვაქვს ჩვენი უფლება და ამაზე უკეთესს ძეგლს ვერავინ დაუდგამს მარიამ დემურიას.

განდეგილი.

თეატრი და ხელოვნება

სალამო-კონცერტი. სამშაბათ, 15 თებერვალს, ქართულს თეატრში ფრიად საინტერესო სალამო-კონცერტი გაიმართება საამხანაგო ხოროს მიერ, რომლის მეთაურადაც არის მომღერალი მიხეილ კავსაძე. ხორო აგერ ერთი წელიწადია შესდგა და იმდენად მოქმედებს, რამდენსაც ნივთიერი მდგომარეობა ხელს უწყობს. კონცერტის შემოსავლით ხოროს განზრახვა აქვს ეროვნული ტანისამოსი შეიკეროს და თავის მოქმედება უფრო [illegible]. [illegible] ხოროს ნიშანს, და დასწრობა.

—

ზუბალაშვილების სახალხო სახლი. ხვალ, 14 თებერვალს, ქართულ დრამატიულ არტისტების მიერ ვასო აბაშიძის მონაწილეობით, საქველ-მოქმედო მიზნით წარმოდგენილი იქნება ავქ. ცაგარლის: „ციმბირელი" დასასრულ გაიმართება: „საკონცერტო განყოფილება" რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: მომღერლები: ქ. გენებიზოვისა, გ. კანდელაკი. ი. კახელი და კ. მელვინეთ-უხუცესი. შემდეგ წაიკითხავენ საკუთარ ნაწარმოებს ია ეკალაძე, ნარკანი, გ. ახოსპირელი, ა. შანშიაშვილი, რ. გებიაშვილი, და ი. გრიშაშვილი.

დასაწყის საღამოს 8 საათზე.

მიმდინარე წლის 30 დეკემბრიდან

გაიხსნა

მუხრანსკის ახალი კერძო

სამკურნალო

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ნ. მ. ახპიხოვი—(მედ. ექ.), ყურისა, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

გ. ა. ახვერდოვი—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებან. დილის 10—11 საათ.

ტ. ი. გეორგ-ბეგიანი—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

ქ. ა. გონიევი—ბავშვთა სნეულ. (სამშ., ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

ა. ი. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.

ი. გ. კალამკაროვი—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

ა. ი. კატანიანი—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

მ. დ. კილოხანიძე—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

გ. ა. მელკონიანი—ქირურგ. სნეულ 5—6 ს.

ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606"-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—5 (0—5—29)

სუსუნატის წინააღმდეგ

ახალი წამალი

„SALO-პირილინი"

სწრაფად და საფუძვლიანად ჰმოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა, 1 მან. და 80 კ.

აგრეთვე კარგად მოქმედობს ამსენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ მდინარეობასაც აჩერებს.

დეპო: Петербургъ. Разъѣзжая N 7, Аптека В. Конгейма.

თახ-დადებით იგზავნება. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. კავკასიის საფთიაქო საქონლით მოვაჭრე საზოგადოებაში იშოვება.

Метцль. 12429. 45—1014—1

ზაქარია გრიქუროვის წიგნის მაღაზიის გამოცემანი (ეხლა სოფია გრიქუროვასი).

გიორგი იოსელიანისა:	
1. „საღმრთო ისტორია" ძველი და ახალი აღთქმისა სურათებით	40 კ.
2. „ლოცვანი" ქართულად და რუსულად . . .	20 „
3. „რეინიკე ქუდა მელა" სურათებით . . .	50 „
არისტო ქუთათელაძისა:	
4. „ქართული გრამატიკა".	40 „
5. „წყარო", ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი .	25 „
6. „წყარო", წიგნი მეორე .	50 „
7. „საზოგადო გეოგრაფია" ნაწილი პირველი, სურათებით	30 „
ანტონ ნატროშვილისა:	
8. „სახელმძღვანელო საღმრთო სჯულისა" ნაწ. პირველი	15 „
9. იგივე ნაწილი მეორე .	25 „
10. „ათას ერთი ღამე" სურათებით, თარგ. ჯანაშვილისა .	40 „
11. ГОГЕБАШВИЛИ: „Р. слово 1 ч.	40 „
12. „კუნწულა" მისივე. .	40 „
13. საქართველოს რუკა, მისივე	60 „
14. ХРАМЕЛАШВИЛИ: «Краткiй учебникъ географiи Кавказа	50 „
15. КИКНАДЗЕ: Учебникъ географiи Кавказскаго края. .	30 „

ვინც ათობით იყიდის, დაეთმობა 20 პროცენტი. იმავე პირობით იყიდება იაკობ გოგებაშვილის ყველა წიგნები. აგრეთვე ყოველი ქართული, სომხური და რუსული წიგნები.

მსურველთ შეუძლიათ მიმართონ:

Въ г. Тифлисъ, „Кавказская книжная торговля" Софьѣ Ивановнѣ Грикуровой.

(2—452—1)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

გრაფოლოგი-ხიროსოფი

გამოიცნობს აწმყოს, წარსულსა და მომავალს. ყოველ სულიერ განცდასა და ჩვეულებას. ყველა კითხვაზე პასუხს იძლევა. პირისპირ ნახვითა და წერილით. მიხეილის პრ. N 97, სახლი 8. იღებს დილის 9 ს. საღამოს 8 საათამდე.

(10—1035—8)

ვ. ყიფიანის დრამა

სამეგრელოს მთავარი ლევან

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად

გამოცემა გაზ. „დროების" რედაქციისა და კ. მესხიევისა

ფასი ორი აბაზი

იყიდება „სახ. გაზ." რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ

ამ საამრეშუმო სეზონისათვის გვაქვს მეცნიერულად გაუმჯობესებული ჯიშების **ლოჟიეს** ფირმის შემდეგი აბრეშუმის თესლები: 1) ყვითელი, მერეული აზიური; 2) მსხვილი პარკი, ჩალის ფერი, ვაარის ჯიში; 3) მოგრძო პარკი, მკრთალი ყვითელი ლოჟიედ წოდებული და 4) საშვალი პარკი, მძიმე, ყვითელი ლოჟიედ წოდებული; თეთრი ჯიშების გვაქვს: 1) ბრუსისა; 2) კორეიისა; 3) ანდრიანოპოლისა და 4) ბაღდათისა.

თესლები მოჰზადებულია თანახმა პასტერის სისტემისა და შემოწმებულია საფრანგეთის მთავრობის მიერ.

წარსული ცდის შემდეგ მოგახსენებთ, რომ წინააღმდეგ მტრების ენებისა, ამ ჯიშების თესლების მესანიშნავ პარკში ყოველ გან: ხონში, სამტრედიაში, დიდი ჯიხაიშში, სენაკში, ლანჩხუთში, ჩოხატაურში და სხვაგანაც მეტი ფასი მისცენ მყიდველებმა, რადგანაც მეტად სასარგებლოა მეაბრეშუმეთათვის. შეიძინეთ მხოლოდ გაუმჯობესებული ჯიშების სალი აბრეშუმის თესლები, რომლის პარკსაც ყოველგან დიდი მოთხოვნილება აქვს.

ნაღდად მყიდველთათვის ღირს 2 მან. 60 კ. 6 მისხალი. იქნება სამ მისხლიანი კოლოფებიც. ამ ფასიდან სამყიდავ-აგენტებს ეძლევა შრომის შესაფერი სასყიდელი.

სანდოებს ან საზოგადოებისაგან წარმოდგენილ პირებს მივიღებ აგენტებად. მეაბრეშუმეებს თესლთან ერთად მიეცემათ დარიგების ფურცლები. კრებებზედაც მივალ დარიგების მისაცემად, როცა ამაზე თავის სურვილს შემატყობინებს რომელიმე საზოგადოება.

[illegible] მყიდველ-გამყიდველთ ვთხოვ [illegible] და მომმართონ შემდეგის ადრესით: **იოსებ კაკაბაძეს—ქუთაისში.** (9—1205—5)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ

ძმ. ძეგველოვების

მაღაზიას

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

ახალ-ახალი

ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

ხიზილალა

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

მივიღეთ საუკეთესო პაისური ხიზილალა გირვანქა 1 მ. 60 კ. და წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. 60 კ. გირ.

აგრეთვე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(ფ—128—102)

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

საკერავი მაშინა

ზინგერის კომპანიისა

იყიდება

მხოლოდ კომპანიის საკუთარ მაღაზიებში

ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილ 1 მანეთიდან

ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ
КОМПАНIИ ЗИНГЕРЪ
КОМПАНIЯ
ЗИНГЕРЪ

მაღაზიის ნიშანი.

ხელის მაშინები ფასად 25 მანეთიდან

უფთხილდით სიყალბეს

მაღაზიები ყველა ქალაქებში.

(0—246—12)

ალექსანდრე

თაბაგრის მაღაზია

საკერავი და საქსოვი მაშინები



ქუთაისი ალექსანდროვის ქ.

გრამოფონები, ველოსიპედები

და მათი მოწყობილება დამზადებულია საზღვარ-გარეთის საუკეთესო ქარხნებში, რის სიკარგეშიაც ვიძლევი გარანტიას. ფასები საქარხნოა (ზომიერია), როგორც ნაღდ ზედ, აგრეთვე ნისიათ. (თვიურად შემოტანით). ჩვენს საკერავ მაშინებს აქვს წარწერა. „ПО ОСОБОМУ ЗАКАЗУ—А. Р. ТАБАГАРИ КУТАИСЪ", რომელიც უტყუარია და მყიდველებიდგანაც მაქვს მადლობის წერილები. მყავს გამოცდილი მექანიკი, შეკეთება ყველაფრის კარგად და ზომიერ ფასებში

გრამოფონის პლასტინკები ახალ-ახალი მოგვდის ყოველ კვირა.

ფოსტის ადრესი: Кутаисъ, А. Р. Табагари.

(50—269—10)

რადგანაც საოცრად იზრდება თანხის

ტრიალი

ზაქარია ჟდანოვის

საბანკო სახლისა ს. პეტერბურგში, მისი პატრონი

მთამომ. საპატიომ. მოქალაქე ზაქარია პეტრეს ძე ჟდანოვი, იძულებულია თავისი საქმე **ამხანაგობად** გადააქციოს შემდეგის ფირმით:

საბანკო სახლი

ზაქარია ჟდანოვი და ამხ.

ს-პეტერბურგში, ნევის პროსპ. 45.

დეპეშით მისამართი: Петербургъ Банкжданъ. ტელეფონი: 451—29, 87—81, 88—28, 152—24 და ს-პეტ. საფონდო ბირჟაზე—117—22.

საბანკო სახლი, როგორც ადგილობრივ, ისე პროვინციელ კლიენტების შემდეგ საქმეებს აწარმოებს:

ღებულობს ფულს შესანახად სასარგებლოდ მოთხოვნამდე (მიმდინარე ანგარიშით) და იძლევა 1 წლის მეტის ვადით შეტანილ თანხაზე—$6^{3}/_{4}$ სარგებელს, ამასთანავე **3 თვის სარგებელს წინდაწინვე იძლევიან**, 1 წლისაზე—$6^{1}/_{2}$, **წინანა დღით 2 თვის სარგებელს იძლევიან**, 6 თვიანზე—6, **1 თვის სარგებელს წინა დღითვე იძლევიან**, ჩვეულებრივ მიმდინარე ანგარიშებით—5%.

მყიდულობს, ჰყიდის და იგირავებს დიდის სარგებლით ყველა სარგებლიან და დივიდენდის ქაღალდებს, რაც ბირჟაზე ტრიალებს.

ასრულებს დავალებას ბირჟაზე ყოველგვარ სარგებლიან და დივიდენდის ქაღალდების სასყიდლად, იღებს მხოლოდ საკომისიოს, მაკლერების უკურტაჟოდ.

მიმდინარე ანგარიშის სპეციალურ ანგარიშს აწარმოებს ონ კოლ (on coll).

ვისაც თავის თანხის გადიდება, ბირჟაზე ფასიან ქაღალდების სყიდვა-გასყიდვითა ჰსურს, მაზანდის დაცემისა და კურსის აწევის დროს, რომელიც მცირე თანხის პატრონსაც საშუალებას აძლევს დიდი თანხა დაატრიალოს ქაღალდებით. ამ ანგარიშის სათავედებოდ ნაღდი ფული უნდა წარმოადგინონ 300—400 მან. ქაღალდებით მაზანდის კვალობაზე.

ასეთ ანგარიშის გახსნის შემდეგ, კლიენტს უფლება ეძლევა ს-პეტერბ. საფონდო ბირჟაზე საბანკო სახლის შემწეობით ყოველგვარი სარგებლიანი და დივიდენდის ქაღალდები იყიდოს სათავედებოდ შეტანილ თანხაზე 4—5 ჯერ მეტის ღირებულებისა და თავის სურვილისამებრ გაჰყიდოს ისინი. ამ ანგარიშით სარგებელს მხოლოდ იმ დღეებისას უანგარიშებენ, რამდენ ხანსაც კლიენტი საბანკო სახლის ფულით სარგებლობდა.

გამოისყიდის სარგებლიანსა და დივიდენდის ქაღალდებს ყველა საკრედიტო დაწესებულებიდან და ამასთანავე მისცემს ზედმეტს უდიდეს სესხსა და უფრო გრძელის ვადით.

ჰყიდის

მომგებიან ბილეთებს

ყველა სამივე სესხისას სულ ახალსა და შეღავათიან პირობებით მცირედის ბეის შეტანით, დანარჩენ ფულის შესატან ვადის გადადებით, სურვილისამებრ, როდესაცა ჰსურთ და რამდენის გადახდაცა ჰსურთ. ვადის გადაცილებაზე არავითარი ჯარიმა არ ედებათ. კუპონები სყიდვის დღიდანვე მსყიდველის კუთვნილებაა.

ახდევს

ყველა მომგებიან ქაღალდებს ტირაჟში გამოსვლიდან და აგრეთვე როსტოვ-კავკასიისა, მოსკოვ-ყაზანისა და მოსკოვ-კიევ-ვორონეჟის რკინის გზის აქციებს.

სცვლის

ტირაჟში გამოსულ ფასიან ქაღალდებს,

ახდევს

ვადიან კუპონებს და ანგარიშს უწევს უვადოებს.

ასრულებს დავალებას

გასასწორებელ ანგარიშების სხვა და სხვა საბუთიან ქაღალდების მიხედვით ს.-პეტერბურგში პროვინციელ ელემენტების ხარჯით.

შესანახად და საგამგებლოდ მიიღებს

ფასიან ქაღალდებს, მცირე საკომისიოს აიღებს.

საბანკო სახლს, საკუთარი რკინა გადაკრული უშიშარი საწყობი აქვს, ჯავშან-გადაკრულ ფოლადით და ტეხნიკის უკანასკნელ მოთხოვნილების მიხედვით დამზადებული.

პროვინციის კლიენტებისათვის

მოწყობილია სპეციალური განყოფილება კორესპონდენტთა აუარებელ შტატებით და სხვა ქალაქის მცხოვრებთა ყოველგვარ დავალებას საგულისგულოდ, სწრაფად და ნამდვილად ასრულებს.

დაწვრილებითი პროსპექტი

მაგალითებით განმარტებული და ოპერაციის **წესების** აღნიშვნით უფასოდ გეგზავნებათ.

შეკითხვაზე პასუხი

დაუყოვნებლივ ეძლევათ, თუ სწორე და ნამდვილი მისამართია აღნიშნული, გარკვეულის ხელით და საპასუხო მარკით.

წერილებისათვის მისამართი:

Банкирскому дому Захарiй Ждановъ и К-о. С-Петербургъ დეპეშისათვის: Петербургъ Банкжданъ. (Метцль и К-о. № 20747) (2—1034—2)

ტფილ. გუბერ. თავად-აზნ. წინამძღოლი

1895 წ. 25 მაისს, **უმაღლესად** დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს მოსაზრების თანახმად, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დამაარსებელთა მიერ ბანკის დასაარსებლად შეტანილ თანხის დაბრუნებაზე,— ფინანსთა მინისტრის მიერ 1900 წ. 8 მაისს დამტკიცებულ წესების მე-7 მუხ. თანახმად,—ამით აცხადებს, რომ ის პირი, რომელსაც გარდასაცემ კვიტანციაზე წარწერის მიხედვით, ჩაჰბარდა თ-დ თამაზ **ზაქარიას ძე ვაჩნაძის** კვიტანცია სამას სამოც-და-ათ მანეთისა (370 მ.) ბანკის დასაარსებლად—ვალდებულია იგი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს წარმოუდგინოს ექვსის თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან; წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი სამუდამოდ დაჰკარგავს ამ ფულის მიღების უფლებას გარდასაცემ წარწერიან კვიტანციით, და ეს ფული ზემოხსენებულ თავადის მემკვიდრეთა სასარგებლოდ გადავა. (3—1049—3)



მივიღეთ და

მოითხოვეთ

აბრეშუმის

ჭიის თესლი

ბაღდადურ თეთრის ჯიშისა.

ალექს. ვარპეტიანისა და ამხ. ფირმისა (წინად ა. ვ. არსენისა და ამხ. ფირმად წოდებული). კავკ. საამრეშუმო სადგურის თეთრი ბანდეროლით, საგანგებოდ დამზადებული.

ტიგრან ხაჩიანცის დაკვეთით, საგანგებოდ ქუთაისის გუბერნიისათვის. თითო კოლოფში სწორედ 6 მისხალი, (25 გრამი), კარგად შემოწმებული თესლია გისეის ტოპრაკებით ფირმის სტემპელითა და ლაქის ბეჭედ-დასმული „ა. ვართანიანი", კოლოფშივე არის 1 ცალი დარიგება ჭიის რიგიან მოვლაზე. ქალაქ გარედ მყოფნი მყიდველნი მოიკითხავენ: კანტორა სიონის ქუჩ., ტაძრის I ქიმში მოთავსებული, ბარზუდაროვის მემკვიდრეთა სახლში N 6, და ღიაა დილის 10 ს.—2 საათამდე.

მთელის რუსეთის იმპერიისათვის ერთად-ერთი წარმომადგენელი ტიგრან სერგოს ძე ხაჩიანცი. ადრესი წერილებისა და დეპეშებისათვის: Тифлисъ, Тигранъ Хачiанцъ (12—1206—4

უმაღლეს ხარისხის

ჩაი

გუბკინ

კუზნეცოვის ამხ.-სა

ЗАЯВЛЕНЪ
ОТДѢЛУ ПРОМЫШЛЕННОСТИ
ТОРГОВЫЙ ЗНАКЪ

სავაჭრო ნიშანი

ფირმის წლ. შემოსავალ-გასავალი 50 მილ.

იშოვება ყველგან

ჩაისა და ყავის ვაჭრობა ნარდად

ტფილისის კანტორა: ველიამინოვის ქ. № 12 ტელეფონ. № 964

(20—140—13)

მალიოლის კუნძული სტამბა „ხორავანი" ტელეფ. № 539.

რედაქტორ-გამომცემელი იროდიონ ხოსლულაშვილი.